ქვეყნის ხსნისა და გადარჩენის გზა განათლებაზე გადის

„სწავლა-განათლება ქვეყნის სიმდიდრის სათავეა“ ილია

ნინო გომართელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
თამარ ხოხობაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

https://doi.org/10.52340/gbsab.2025.55.08

საკვანძო სიტყვები: განათლება, ზნეობა, რწმენა, სწავლა-აღზრდა, ცივილიზაცია, ცოდნა.

შესავალი

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია თვალნათლივ მოწმობს, რომ ნებისმიერი დიდი აღმოჩენის პროგრესისა და ცივილიზაციის საფუძველი ყოველთვის ყოფილა ტალანტთან, ხალას ნიჭიერებასთან შედუღაბებული სწავლა-აღზრდა და განათლება - ადამიანთა აზროვნების განვითარების ეს ორი უმთავრესი ქვაკუთხედი, რომელთა გარეშეც კაცობრიობა ვერ მიწვდებოდა იმ ფენომენალური მნიშვნელობის მასშტაბურ მიღწევებს, რომლითაც ჩვენი თანამედროვეობა ქრისტეშობიდან მესამე ათასწლეულის პირველ მეოთხედში ანხორციელებს. (2, 118-119) სწავლა-აღზრდისა და განათლების მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული სხვადასხვა ხანასა და ეპოქაში მოღვაწე ამა თუ იმ ქვეყნის სახელოვან შვილებს, ბრწყინვალე მოაზროვნეებს, რომელთა ძალისხმევითაც მრავალი ოცნება, ადამიანთა გონებისათვის თითქოსდა მიუწვდომებელი, დროთა ვითარებაში რეალურ სინამდვილედ იქცა, რითაც ცხადად დაადასტურა კაცთა გონის განუზომელი ფენომენი. (3, 121-122)

XXI საუკუნეში განათლება და ინტელექტი მთავარი ფასეულობაა. ქვეყნის სიძლიერე დიდწილად დამოკიდებულია განათლებასა და პროფესიულ ცოდნაზე. განათლება უდიდესი გამოწვევების წინაშეა. დღეს, როგორც არასდროს, უნდა მოხდეს განათლების სისტემის რეფორმა, რათა ჩვენ მომავალ თაობას მიეცეს მოქმედების თავისუფლება, კომპეტენცია, რათა მოხერხდეს სათანადო ცოდნის მიღება და საკუთარი თავის რეალიზაცია. (6, 23).

ძირითადი ნაწილი

XXI საუკუნის პირველ მეოთხედში კაცობრიობა თავისი გლობალური პრობლემებით, კონფლიქტებით, კრიზისებით დაპირისპირებით და ა.შ. შესაძლოა თვითგანადგურების წინაშე აღმოჩნდეს. სამყაროში სახელმწიფოთა და ერთა დაბალანსებული, ჯანსაღი ურთიერთობები ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი პრობლემაა, საჭიროა ადამიანებმა სერიოზულად აღვიქვათ მიმდინარე პროცესები, პარალელურად კი დავაკვირდეთ ჩვენს ქმედებებსაც, გავიაზროთ ყოველი ნაბიჯი, საზოგადოების ძირითად მიზანს ბედნიერებისკენ სწრაფვა და შესაბამისად, უბედურების თავიდან აცილება უნდა წარმოადგენდეს, ყოველივე ეს კი გონიერი,

განათლებული ადამიანების ვალია. განათლება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, მას გაფრთხილება, შენარჩუნება და რაც მთავარია, მუდმივი ზრუნვა სჭირდება. განათლების განვითარების ხელშეწყობა ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ საკითხს უნდა წარმოადგენდეს, რამეთუ ის წინსვლისა და განვითარების საწინდარია.

მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების მთავარ რესურსს ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს. განათლება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ სფეროდაა მიჩნეული და მის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და იგი სახელმწიფოს მდგრადი განვითარების წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ. (4, 233).

საქართველო თავისი კულტურითა და განათლებით მუდამ იყო ერთ-ერთი უძველესი ცივილიზებული ქვეყანა. საქართველოში განათლებას ძველთაგანვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენს ქვეყანაში კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართული სახელმწიფოებრიობის საქმეში განათლების მნიშვნელობა. ჩვენთან ანტიკური ხანიდან არსებობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, რაზედაც ნათლად მეტყველებს ბერძენ ისტორიკოსთა ჩანაწერები: ანტიკურ საქართველოში გავრცელებული იყო „გიმნასიონები“, ამ მხრივ, უპ. ყ. აღსანიშნავია, III-IV სს. ფაზისის უმაღლესი რიტორიკული სკოლა - ლაზთა აკადემია. საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსებასა და გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ, სწორედ ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ განათლებისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვან კერებს (5, 614).

თბილისში ქრისტიანული რელიგიის ცენტრებად ითვლებოდა ანჩისხატი, ქაშუეთი, სიონი, რომლებიც მხოლოდ საკულტო-საეკლესიო ცენტრები კი არა, განათლებისა და სასწავლო-სასკოლო დანიშნულების მატარებლებიც იყვნენ. თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო კერებად იყო მიჩნეული გელათის, შიო-მღვიმის იყალთოს აკადემიები და გრემის სამონასტრო კომპლექსი. ქვეყანას მნიშვნელოვანი ურთიერთობები ჰქონდა სამყაროს უმნიშვნელოვანეს რელიგიურ-კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრებთან: პალესტინის, სირიის, იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის სავანეებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ უძვირფასეს ადგილს, რაც ნათლად ადასტურებს ქართული სახელმწიფოს წინსვლასა და განვითარებას, მათ საერთაშორისო ხასიათს და განაპირობებდნენ ქვეყნის აღმასვლის მოწინავე ორიენტირებს. საზღვარგარეთ არსებულ მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად მიჩნეულია მონასტრები: სინას მთაზე, შავ მთაზე და ათონის მთაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, ილარიონ ქართველის მიერ დაარსებული ულუმბოს მონასტერი ბითვინიაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-კულტურული ცენტრები: ოპიზა, შატბერდი, იშხანი, წყაროსთავი, ტბეთი, ოშკი, ბერთა, პარხალი, ბანა, ხანძთა და სხვ. რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული კულტურის ისტორიაში. (7, 103)

ცივილიზაციური ერთობა წარმოადგენდა იმ ძირითად ძარღვს, რითაც საქართველო უკავშირდებოდა ევროპასა და მცირე აზიას. ქართული სახელმწიფო თავისი არსებობისა და განვითარების ყველა ეტაპზე დასავლური ცივილიზაციის ნაწილად რჩებოდა და ყოველთვის როდესაც საშუალება გვქონდა თავად აგვერჩია განვითარების მიმართულება, ვცდილობდით სწორედ ამ გზაზე გვევლო, რადგან მიგვაჩნდა, რომ ქვეყნის სულიერი პროფილი, ძირითადად, ევროპულ კულტურასთან ურთიერთობით უნდა განვითარებულიყო. კულტურა და მისი ნაწილი განათლება

სულიერების ნაყოფია, მსოფლიო ცივილიზაცია კი ეროვნულ კულტურათა ერთობლიობას წარმოადგენს. ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა-ი-გასეტი თავის თხზულებაში „მასების ამბოხი“ აღნიშნას: „ცივილიზაცია უპ. ყ. მისწრაფებაა არსებობისათვის“. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო ძლიერდება სხვადასხვა ხალხის მისწრაფება შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, დაიცვას ეროვნული იდენტობა, რომელიც მათი ინტერესების დაცვის ერთგვარი საწინდარია.

განათლების სფეროში რეფორმების მიზანია განათლება გახდეს საზოგადოებრივი სიკეთის საფუძველი. ჩვენი ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს ნიჭიერი ადამიანები წარმოადგენენ. ამ ბუნებრივი რესურსის სათანადადოდ გამოყენებისათვის კი საჭიროა გამართული, დახვეწილი, საგანმანათლებლო სისტემის შექმნა. სწორად განათლებულმა ადამიანებმა უნდა განსაზღვრონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. ქვეყანა, რომელიც ვერ ახერხებს უზრუნველყოს მომავალი თაობის სათანადო ცოდნა და განათლება, განწირულია წარუმატებლობისათვის.

მეცნიერების განვითარებამ და ახალი მეთოდების დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა განათლების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი, რაც ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, ტემპიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო სისტემები მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებლად საზოგადოებას სხვადასხვა შესაძლებლობებს და სერვისებს სთავაზობდეს.

განათლების სისტემის განვითარება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი პირობაა. საერთაშორისო კვლევების თანახმად (TIMSS, PIRIS, PISA და სხვ.) საქართველო მოსწავლეთა აკადემიური შედეგები მეტად არასახარბიელოა. განათლების სისტემა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისად ახალგაზრდების სათანადო მომზადებას. არსებული პრობლემის გადასაწყვეტად, ვფიქრობთ, განათლების სექტორში აუცილებელია ძირეული, მნიშვნელოვანი რეფორმების დროული განხორციელება. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლში“ ვკითხულობთ: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობას...“.

დასკვნა

განათლების განვითარების ხელშეწყობა ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ საკითხს უნდა წარმოადგენდეს, რამეთუ ის წინსვლისა და განვითარების საწინდარია. მიგვაჩნია, რომ განათლების სისტემაში დროულად უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები , სფეროს სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ განათლების მხრივ, მსოფლიოში საშუალო დონესაც ვერ ვაკმაყოფილებთ. აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ყოველწლიურად იზრდება გადასახადები, მაგრამ არსებული გადასახადები ნაკლებად შეესაბამება სწავლების ხარისხს. განათლება საბაზრო პრინციპებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და მოგებაზე არ უნდა იყოს გათვლილი, რამეთუ საბაზრო პრინციპებით შედეგი არ მიიღწევა. განათლების სისტემის დიდ ნაკლს უვარგისი სახელმძღვანელოებიც წარმოადგენს. განათლების სამინისტრო ატარებს წიგნების კონკურსს და გრიფირებას, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად აქცენტი ხარისხზე ნაკლებად კეთდება. სანამ განათლება კომერციაზე იქნება დამყარებული სფეროს განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. მიგვაჩნია, რომ სწორედ განათლებას შესწევს უნარი შეცვალოს საზოგადოება.

რთულია წარმოვიდგინოთ როგორი იქნება უმაღლესი განათლება თავისი თავისებურებებით იმ დროისათვის, როდესაც ადამიანთა გონება დაეუფლება მანქანური სწავლებისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს, მაგრამ ალბერტ აინშტაინის აზრით, ინტელექტის ჭეშმარიტი ნიშანი წარმოსახვაა: „ცოდნაზე მნიშვნელოვანი წარმოსახვის უნარია. ცოდნა შეზღუდულია, წარმოსახვა კი უსაზღვრო...“

განათლება თვითგანვითარებისათვის კაცობრიობის ყველაზე ეფექტური იარაღია, იგი ადამიანის ღირსების განუყოფელი ნაწილია და აძლიერებს მას ცოდნითა და სიბრძნით. განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე ტენდენციებსა და საერთაშორისო მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტარატურა:

1. ბახტინი მ., კულტურისა და ხელოვნების ესთეტიკა, თბ., 1985;
2. გომართელი ნ., სწავლა-აღზრდისა და განათლების საკითხები პოლიტიკურ მოღვაწეთა ტრაქტატებში, იხ.: ჟურნ "სკოლა და ცხოვრება" 1-6, თბ., 2000;
3. გომართელი ნ., საქართველო და მსოფლიო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, თბ., 2022;
4. კილასონია ჟ., უმაღლესი განათლება და მდგრადი განვითარების მიზეზები, იხ.: ჟურნ. „სპექტრი“, თბ., 2022;
5. ლომთათიძე გ., განათლება და კულტურა ტაძრებში იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი 2, თბ., 1973;
6. სესაძე ნ., თევდორაშვილი ნ., პიტიურიშვილი ლ., განათლება ცვლილებების ეპოქაში, იხ. : ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, N 1, თბ., 2022, VOL 17;
7. სურგულაძე მ., ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა, იხ.: კ. კეკელიძის სახ. საქ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი "ტექსტები", თბ., 2018;
8. ქეცბაია კ., განათლების მომავალი XXI საუკუნეში, იხ.: „ფილოსოფიური ძიებანი" XXV, თბ., 2021;
9. Dewey, J. (1938). Experience and Education. New York: Kappa Delta Pi;
10. Piaget, J. (1952). The Origins of Intelligence in Childre n. New York: International Universities Press;
11. UNESCO (2020). Global Education Monitoring Report. Paris: UNESCO;

რეზიუმე

ერს, ქვეყანას მომავალი რომ ჰქონდეს უნდა ჰყავდეს განათლებული საზოგადოება. საქართველოში მიმდინარე პროცესები გვარწმუნებს, რომ საჭიროა ჭეშმარიტი, მაღალკვალიფიციური, პროფესიონალები სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და ქმედებებით. თანამედროვე ახალგაზრდებს უნდა ესმოდეთ, რომ მთავარია სამშობლო, ზნეობა, ცოდნა, რწმენა და ეს ყველაფერი საჭიროა ეროვნულ ფესვებზე იყოს დაფუძნებული. მათ არ უნდა დაივიწყონ წინაპართა ჯანსაღი ტრადიციები, ადათ-წესები, სათანადოდ უნდა შეაფასონ გონიერ ადამიანთა კომპეტენტურობა. ჩვენი ქვეყნის ტკივილი და გაჭირვება ხშირ შემთხვევაში გაუნათლებლობის ბრალია. დიდი ილია დღენიადაგ მოგვიწოდებდა: "ქვეყანას გონების გახსნა, სწავლა, გაზრდა უნდა, თუ რამ შეგიძლიათ იმოქმედეთ…". საქართველოს აქვს უდიდესი პოტენციალი

გახდეს მაღალგანვითარებული თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფო, რისი მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ მაღალი ხარისხის განათლების სისტემის შექმნითა და განვითარებით. საჭიროა, შესაბამისი პოლიტიკური ნება, გონებრივი ძალების მობილიზება, მიზნების დასახვა და შემდეგ განხორციელება. ჩვენმა ქვეყანამ ეს თუ ვერ შეძლო, იგი მუდმივად იქნება მართვადი, უმართავი ქაოსის ეპიცენტრში. შევეცადოთ ქვეყნის დაცვას, გაძლიერებას, ქვეყნის ეროვნული ინტერესების შენარჩუნებას. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განათლებულ საზოგადოებას შეუძლია ქვეყანაში შექმნას მაღალტექნოლოგიური ძლიერი ეკონომიკა, ხელი შეუწყოს და განავითაროს განათლება და კულტურა, განამტკიცოს რწმენა და ზნეობა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ინფრასტუქტურის განვითარება არსებული პრობლემების აღმოფხვრა. მიგვაჩნია, რომ განათლების ხარისხის უზრუნველყოფას, მის შეფასებასა და მონიტორინგს ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ათეული წლებია მიმდინარეობს სისტემის რეფორმირების პროცესი, იცვლება რეფორმატორთა თაობა განათლების მკვლევრები, ექსპერტები, დარგის სპეციალისტები გვთავაზობენ მთელ რიგ წინადადებებს რეფორმების განხორციელების მიზნით, მაგრამ გასაკეთებელი ბევრია და არსებითი შედეგები უმნიშვნელო. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმების დიდი ნაწილი უცხოური ანალოგების ადაპტაციის გარეშე გადმოტანით განხორციელდა, გარკვეული ტიპის რეფორმებს ხშირად არ გააჩნდა თანმიმდევრულობისა და სისტემატურობის ნიშანი. ყოველი რეფორმატორი ცდილობდა განეხორციელებინა არსებული რეფორმის რადიკალური ცვლილება, შემოეთავაზებინა რაღაც ახალი, რაც აფერხებდა სისტემის გაჯანსაღების პროცესს.

THE PATH TO SAVING AND SURVIVING THE NATION LIES IN EDUCATION

“Education is the source of a nation’s wealth”- Ilia

Professor Nino Gomarteli
Georgian Technical University

Professor Tamar Khokhobashvili
Georgian Technical University

For a nation to have a future, it must cultivate an educated society. The processes unfolding in Georgia today confirm that the country needs genuine, high-quality, qualified professionals with a sense of statehood in their thinking and actions. Modern youth must understand that the most important values are homeland, ethics, knowledge, and faith, and these values must be rooted in national traditions. They should not forget the healthy traditions and customs of their ancestors and must properly value the competence of wise individuals. The pain and hardships of our country are often the result of a lack of education. The great Ilia Chavchavadze constantly urged us: “A country needs enlightenment, learning, and growth. Do whatever you can to achieve this…”

Georgia has tremendous potential to become a highly developed, modern European-style

nation. Achieving this is only possible through the creation and development of a high-quality education system. What is needed is appropriate political will, the mobilization of intellectual resources, the setting of goals, and then their implementation. If our country fails to accomplish this, it will remain perpetually dominated by others and trapped in an uncontrollable chaotic state. We must strive to protect and strengthen the nation, preserving our national interests.

We believe that only a society educated according to international standards can create a high-tech, robust economy, promote and develop education and culture, strengthen faith and ethics, and enable the state to introduce innovations and modern technologies, develop infrastructure, and address existing problems. Ensuring the quality of education, assessing it, and monitoring it are of critical importance for achieving and maintaining the nation's welfare.

For decades, Georgia has been undergoing reforms in its education system. Reformers have come and gone, and education researchers, experts, and field specialists have proposed numerous ideas for implementing reforms. However, much remains to be done, and the essential results have been limited. It should be noted that many of the reforms were implemented by directly adopting foreign models without adequate adaptation, while certain reforms often lacked the characteristics of consistency and systematic development. Each reformer attempted to radically change existing reforms and introduce something new, which significantly hindered the process of stabilizing and strengthening the system.

Keywords: Civilization, Education, Ethics, Faith, Knowledge, Learning.